



სილქნეტი
SILKNET

სილქნეტის მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების პირობები და ტარიფები

პ ი რ ო ბ ე ბ ი

1. დროებით შეჩერების მომსახურება ვრცელდება სილქნეტის ყველა პროდუქტზე, გარდა ცალკემდგომ ან სპეციალურ შეთავაზებაში შემავალ ს1 მობილური/CDMA უსადენო ფიქსირებულ სატელეფონო და EVDO ინტერნეტ მომსახურებებისა;
2. მომსახურების დროებით შეჩერებისთვის აუცილებელია, რომ მომსახურებისთვის განკუთვნილ შესაბამის ანგარიშის ნომერზე არ ირიცხებოდეს მიმდინარე დავალიანება 5 (ხუთი) ლარზე მეტი ოდენობით;
3. იმ მომსახურებაზე, რომელზეც ვრცელდება წინასწარი გადახდის სისტემა, მომსახურების დროებით შეჩერებისთვის აუცილებელია მომსახურების შესაბამის ანგარიშის ნომერზე აბონენტს ერიცხებოდეს დადებითი ბალანსი არანაკლებ დროებით შეჩერების ერთი თვის ღირებულების ოდენობისა;
4. დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულების დარიცხვა და გადახდა ხდება მომსახურების ყოველთვიური სააბონენტოს გადახდის წესის ანალოგიურად;
5. დროებით შეჩერების მაქსიმალური პერიოდია მომსახურების დროებით შეჩერების დღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული 11 (თერთმეტი) თვე; აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ (თუ მანამდე არ მოხდა აბონენტის მიერ მომსახურების გააქტიურება), მოხდება დროებით შეჩერებული მომსახურებ(ებ)ის ავტომატური გააქტიურება;
6. თითოეული მომსახურების დროებით შეჩერების მოთხოვნა დასაშვებია კალენდარული თვის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ;
7. დროებითი შეჩერების ღირებულების გადაუხდელობის, ან დადებითი ბალანსის ამოწურვის შემთხვევაში (მომსახურებისთვის, რომელზეც ვრცელდება წინასწარი გადახდის სისტემა), შეწყდება დროებით შეჩერების მომსახურება (რეჟიმი) და შეჩერებული მომსახურებები გადავა შეზღუდვის რეჟიმში, იმის მსგავსად, თუ რომელ რეჟიმში გადავიდოდა ორმხრივად ჩართული მომსახურებები ყოველთვიური ღირებულების გადაუხდელობისას (კონკრეტული მომსახურებისათვის დადგენილი სტანდარტული პირობებით);
8. იმ შემთხვევაში, თუ ერთი ანგარიშის ნომერზე არის გააქტიურებული ცალკემდგომი მომსახურებები, აბონენტს აქვს შესაძლებლობა ცალ-ცალკე ან/და ერთდროულად შეაჩეროს მისთვის სასურველი მომსახურებები (შესაბამისი ცალკემდგომი მომსახურების სტანდარტული პირობების შესაბამისად); იმ შემთხვევაში, თუ ერთი ანგარიშის ნომერზე არის ფიქსირებული სადენიანი ქსელის სატელეფონო და DSL ინტერნეტ მომსახურება და აბონენტს სურს მხოლოდ ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების დროებით შეჩერება, ავტომატურად მოხდება ორივე მომსახურების ერთდროული დროებითი შეჩერება და ორივე მომსახურებას ცალ-ცალკე დაერიცხება შეჩერების შესაბამისი საფასური.
9. მომსახურებ(ებ)ის შეჩერებისა და მიწოდების საფასურები დაანგარიშდება შეჩერებისა და მიწოდების დღეების პროპორციულად.



სილქნეტი
SILKNET

ტ ა რ ი ფ ე ბ ი

მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების ყოველთვიური ღირებულება	
მომსახურების დასახელება/ კომბინაცია / სპეციალური შეთავაზება	ყოველთვიური ღირებულება ლარში
ფიქსირებული სადენიანი (სპილენძის სახაზო-საბონენტო) ქსელის სატელეფონო მომსახურება	1.5
სილქფონი (ოპტიკური სატელეფონო მომსახურება)	1.5
ს1 ორმაგი შეთავაზება *	1.5
DSL ინტერნეტ მომსახურება	5
ოპტიკური ინტერნეტ მომსახურება	5
სილქნეტ Wi-Fi ინტერნეტ მომსახურება	5
DSL/ოპტიკური სილქ ტვ	5
ოპტიკური ორმაგი შეთავაზება (ინტერნეტი და სილქ ტვ ერთად)	5
ოპტიკური ინტერნეტი და სილქფონი ერთად (ერთ საბონენტო ანგარიშზე)	5
ოპტიკური სილქ ტვ და სილქფონი ერთად (ერთ საბონენტო ანგარიშზე)	5
DSL ინტერნეტი (მათ შორის რადიოსარელო ხაზით) და ფიქსირებული სადენიანი (სპილენძის სახაზო-საბონენტო) ქსელის სატელეფონო მომსახურება ერთად (ერთ საბონენტო ანგარიშზე)	5
DSL ინტერნეტი და DSL სილქ ტვ ერთად (ერთ საბონენტო ანგარიშზე)	5
ოპტიკური/DSL ს1 სამმაგი შეთავაზება *	5
ოპტიკური/DSL სამმაგი შეთავაზება ან ერთ საბონენტო ანგარიშზე ჩართული სამი მომსახურება ერთად (ტელეფონი+ინტერნეტი+ტვ)	5
ოპტიკური/DSL ოთხმაგი შეთავაზება *	5

შენიშვნა: * არ ჩერდება სპეციალურ შეთავაზებაში შემავალი ს1 მობილური სატელეფონო მომსახურება